შრობის ნიშნები და სიმბოლოები

საშრობით შრობა/არ გააშროთ.

გსურთ თქვენი სამოსის საშრობში მოთავსება, მაგრამ არ ხართ დარწმუნებული რომელი სიმბოლო აღნიშნავს "შრობისთვის უსაფრთხოს"? ნახეთ სიმბოლოების მიმოხილვა, თუ რომელი ტანსაცმელია თავსებადი საშრობ მანქანაში შრობისთვის:

საშრობში ნორმალური შრობა
კვადრატში ჩახატული წრე მიგანიშნებთ ზოგადად შრობის შესაძლებლობაზე. თუ მას ხედავთ ქსოვილის ეტიკეტზე, თქვენი ნივთის საშრობ მანქანაში მოთავსება საშრობად უსაფრთხოა.

არ გაშროთ მანქანაში
თუ ქსოვილი არ ექვემდებარება მანქანაში შრობას, თქვენ ეტიკეტზე ნახავთ გადახაზულ კვადრატს, წრით. ასეთი ნივთები, არ მოათავსოთ საშრობ მანქანაში.

დაბალი ტემპერატურა და ნაზი შრობა.

საშრობში შრობა – სითბოს გარეშე
კვადრატის შიგნით შავი წრე განიშნებთ, რომ ქსოვილი უნდა გაშრეს საშრობში ნაზად, მხოლოდ ცივი ჰაერით .

საშრობში შრობა – მუდმივი წურვა
შრობის სიმბოლო დამატებით ქვედა ხაზით, მიუთითებს ქსოვილი ნაზ შრობას (მაგ: სინთეთიკა).

საშრობში შრობა – ნაზი
შრობის სიმბოლო დამატებით ქვედა ორი ხაზით, მიუთითებს უფრო მეტად ნაზი შრობის საჭიროებას და სპეციალურ პროგრამას (როგორც - შალის შრობა) სათანადო მოვლისთვის.

ცივი/დაბალი ტემპერატურა
შრობის სიმბოლო ერთი წერტილით, განიშნებთ შრობის დაბალ ტემპერატურას 60°C გრადუსამდე.

თბილი/საშუალო ტემპერატურა
შრობის სიმბოლო ორი წერტილით, განიშნებთ შრობის ტემპერატურას 80°C გრადუსამდე.

ცხელი/მაღალი ტემპერატურა
შრობის სიმბოლო სამი წერტილით, განიშნებთ ქსოვილის შრობის შესაძლებლობას უმაღლეს ტემპერატურაზე.

ჰაერზე შრობა.

ჰაერზე შრობა
კვადრატი - ჰაერზე შრობის სიმბოლო. თქვენი ქსოვილი უნდა გააშროთ სარეცხ თოკებზე, ან მოათავსოთ ბრტყელ ზედაპირზე გასაშრობად.

ჩრდილში შრობა
კვადრატში ორი დიაგონალური ხაზი მიგანიშნებთ, რომ თქვენი ქსოვილი არ უნდა გააშროთ პირდაპირ მზის სხივზე, აუცილებელია ტანსაცმლის ჩრდილში გაშრობა. დარწმუნდით რომ ქსოვილი ნამდვილად ჩრდილში შრება, რათა თავიდან აიცილოთ მისი გათეთრება და გაცვეთა.

ვერტიკალური შრობა/წვეთოვანი შრობა
კვადრატში მოთავსებული ვერტიკალური ხაზი ნიშნავს, რომ თქვენი ქსოვილი უნდა გაშრეს თოკზე (ან მსგავს მოწყობილობაზე), ვერტიკალურ მდგომარეობაში ჩამოკიდებული. ორი ვერტიკალური ხაზი ნიშნავს, რომ თქვენი სარეცხი უნდა გაფინოთ თოკზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქსოვილიდან წყალი წვეთავს (არ არის გაწურული)

ვერტიკალური შრობა ჩრდილში/წვეთოვანი შრობა ჩრდილში
კვადრატის მარცხენა კუთხეში სამკუთხე და ვერტიკალური ხაზი ნიშნავს, რომ ქსოვილი უნდა გაშრეს ჩრდილში, სარეცხ თოკზე ვერტიკალურად ჩამოკიდებული. ორი ვერტიკალური ხაზი ნიშნავს, რომ უნდა გაშრეს ჩრდილში, სარეცხ თოკზე, ჯერ კიდევ მაშინ როცა ქსოვილიდან წყალი წვეთავს (არ არის გაწურული).

შრობა სიბრტეზე
შრობის სიმბოლო შუაში ჰორიზონტალური ხაზით ნიშნავს, რომ ქსოვილი უნდა გაშრეს სიბრტყეზე. ორი ჰორიზონტალური ხაზი ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მაშინ უნდა მოთავსდეს გასაშრობად სიბრტყეზე, სანამ ქსოვილიდან წყალი წვეთავს (არ არის გაწურული).

შრობა სიბრტყეზე ჩრდილში
იგივეა, რაც ჰორიზონტალური შრობის სიმბოლო, მარცხენა კუთხეში სამკუთხედით და ნიშნავს რომ ქსოვილი უნდა გაშრეს სიბრტყეზე, ჩრდილში. ორი ჰორიზონტალური ხაზი აღნიშნავს, რომ ქსოვილი უნდა მოთავსდეს ჩრდილში, სიბრტყეზე, ჯერ კიდევ მაშინ სანამ ქსოვილიდან წყალი წვეთავს(არ არის გაწურული).

როგორც პროფესიონალი: განაახლეთ ქსოვილი საშრობში.
ყველა ქსოვილი არ საჭიროებს ყოველი გამოყენების შემდეგ რეცხვას და შრობას. საშრობს შეუძლია ძალიან სწრაფად დაგეხმაროთ მის განახლებაში. მოათავსეთ ქსოვილი საშრობ ჩანთაში და შედეთ საშრობში 15 წუთით. თუ გსურთ, დაამატეთ ნესტიანი, სასიამოვნო სუნის მქონე პირსახოცი უკეთესად განახლებისთვის. 15 წუთის შემდეგ, ამოიღეთ თქვენი ტანსაცმელი, გაასწორეთ და დაკიდეთ საშრობზე.

შენიშვა: რჩევები გაითვალისწინეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ქსოვილის საშრობში მოთავსება შესაძლებელია. არასდროს დაამუშაოთ საშრობში გაშრობამდე ქსოვილი ლაქების ამომყვანით ან სხვა აალებადი საშუალებებით.

როგორც პროფესიონალი: სვიტრი შემცირებული ზომის შეცვლა.
თქვენი სვიტრის ფორმაში დასაბრუნებლად აპრობირებული მეთოდი მისი გაჭიმვაა:

- ჩაალბეთ ქსოვილი თბილ წყალში. წყალში ჩაასხით შამპუნი, რათა ქსოვილის ბოჭკოები მარტივად გაფართოვდეს.
- სველი სვიტრი დადეთ პირსახოცზე და ნაზად შემოახვიეთ ზედმეტი წყლის მოსაშორებლად.
- ახლა სვიტრი პირსახოცხე მოათავსეთ და დაიწყეთ გაჭიმვა ფორმაში მოსაყვანად. განაგრძეთ მისი გამეორება იქამდე, სანამ სვიტრი ბოლომდე არ გაშრება.